<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქიმიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ქიმიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


UN1878213
01.00.714
01.00.177
01.19.39.010.015
01.19.39.010.015
UN1878116
01.19.39.010.066
01.19.39.010.027
01.01.769
UN1877804
01.19.39.010.014
01.19.39.010.015
01.19.39.010.066
01.19.39.010.027
UN1878932
01.19.39.010.001
01.19.39.010.006
01.19.39.010.063
01.19.39.010.064
01.01.772
01.19.39.010.084
01.00.713
01.19.39.014.021
ნიკოლოზ ლანდიას ქ.
01.19.39.014.011
UN1878693
01.19.39.014.011
01.01.834
01.19.39.015.020
01.02.282
01.19.39.015.003
01.19.39.014.027
01.19.39.014.001
01.19.39.014.006
01.19.39.014.006
01.19.39.014.003
01.19.39.016.398
01.19.39.016.004
UN1877999
01.19.39.025.017
01.19.39.025.008
01.19.39.013.004
01.00.177
01.01.484
01.19.39.002.087
33
37
319
315
317
314
320
11s

ნიკოლოზ ლანდია

(1919-1984)

პროფესორი, აკადემიკოსი, პედაგოგი, ქიმიკოსი

დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი) ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი 1940 წელს. მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1960-1972 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი; 1959 წლიდან პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი. 1972-1981წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი; 1981 წლიდან — ვიცე-პრეზიდენტი. 1958 წლიდან ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფეროსი. მისი ძირითადი შრომები ეხება ქიმიის თერმოდინამიკას და მისი მეთოდების გამოყენებას ქიმიურ-ტექნოლოგიურ პროცესების შესწავლისას.